## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

## ბრძანება №24
**2018 წლის 28 თებერვალი**

*ქ. თბილისი*

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ და „ფ.ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თანდართული დებულება.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 17 იანვრის №56 ბრძანება.

**მუხლი 3**

ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი — გიორგი გახარია

**დანართი**

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებანი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისთვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით შექმნილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული და მისი მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

$1^1$. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სერვისები (მომსახურებები) წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად პრევენციისა და სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნით შექმნილი სისტემის ნაწილს.

2. სააგენტოს სრული დასახელებაა: „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო“. სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს შემოკლებული დასახელება: „შსს მომსახურების სააგენტო“ ან „მომსახურების სააგენტო“.

3.სააგენტო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. სააგენტო დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სარგებლობს სპეციალური უფლებაუნარიანობით, საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია, სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

5.სააგენტო ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სააგენტოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო და სახაზინო ანგარიშები საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში, სიმბოლიკა, ლოგო, მრგვალი ბეჭედი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და სააგენტოს დასახელებით, სხვა ბეჭდები, შტამპები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

7.საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობით, სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი.

8.სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების, ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელებისას მატერიალური ან/და ელექტრონული დოკუმენტის სახით შექმნას, მიიღოს, შეინახოს ნებისმიერი დოკუმენტი (მათ შორის, საარქივო მასალა), შეიტანოს მონაცემებში ცვლილებები ან შესწორებები, გასცეს (გამოსცეს) ნებისმიერი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია, რომელსაც შეიძლება სამართლებრივი შედეგები მოჰყვეს, აგრეთვე გამოიყენოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებები, ელექტრონული ხელმოწერა, ციფრული ხელმოწერა, ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა; ელექტრონულ დოკუმენტს და მის ამონაბეჭდს აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც მატერიალურ დოკუმენტს. დოკუმენტზე ელექტრონული ხელმოწერა, ციფრული ხელმოწერა, აგრეთვე ელექტრონული ან/და ტექნიკური საშუალებით ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ.

9. სააგენტოს იურიდიული მისამართია: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილის 21-ე კმ.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №72 - ვებგვერდი,19.07.2022წ.*

**მუხლი 2. სააგენტოს მიზანი და ფუნქცია**
1. სააგენტოს მიზანია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება, მის კომპეტენციას მიკუთვნებული სფეროს კონტროლი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მომსახურების გაუმჯობესება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის განვითარების ხელშეწყობა.
2. სააგენტოს ფუნქციებია:

ა) იარაღის რეგისტრაცია, იარაღის ხელახალი რეგისტრაცია და იარაღის ჩამოწერა;

ბ) იარაღის ძირითადი ელემენტებისა და იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტების რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია და ჩამოწერა;

გ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა, იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა, იარაღის ბალისტიკური შემოწმება და იარაღის რეესტრის წარმოება;

დ) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა;

ე) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვლულიანი

ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;

ვ) იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა იმ პირზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება;

ზ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;

თ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირებისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;

ი) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „გ[1]“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია;

კ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;

ლ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;

მ) ფიზიკურ პირზე სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის ტარების უფლებით რეგისტრაცია;

ნ) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე საქართველოში იარაღის შეძენის ან/და საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;

ო) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;

პ) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;

ჟ) ტირის, სასროლეთისა და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის გაცემა;

რ) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემა;

ს) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა;

ტ) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობისა და იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის გაცემა;

უ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სამოქალაქო თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის (აირის) იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის მიერ იარაღის ბრუნვის წესების ცოდნის შემოწმების მიზნით გამოცდის ჩატარება;

უ[1]) სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით

გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება;

ფ) დეკლარანტის თხოვნით, სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ან/და სასაქონლო ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – შემოსავლების სამსახურისათვის (შემდგომ – შემოსავლების სამსახური) მიწოდება;

ქ) სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა, რეგისტრაციის მოწმობის, რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის/ნიშნების), ტექნიკური ტალონის, სხვა სახის სარეგისტრაციო ნიშნის (ტრანზიტული ნომერი, შიდა ტრანზიტი, „TEST“ ნომერი, აღრიცხვიდან მოხსნის ბარათი, დროებითი მოწმობა და ა. შ.) დამზადება/გაცემა;

ღ) სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება;

ყ) სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმება, საექსპერტო შემოწმების შედეგად შესაბამისი აქტის შედგენა;

შ) სატრანსპორტო საშუალების, მისი ნომრიანი აგრეგატების ან სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების დათვალიერება, დათვალიერების აქტის შედგენა;

ჩ) საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვა, საიდენტიფიკაციო ნომრის ამსახველი ფირნიშის დამზადება/გაცემა, სააღრიცხვო ნომრის მინიჭება;

ც) უფლების გადაცემის ბარათის გაცემა;

ძ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სატრანსპორტო საშუალების ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონის) ან/და დაუტვირთავი მასის განსაზღვრა;

წ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას იარაღის, სატრანსპორტო საშუალებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრა;

ჭ) სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია, გირავნობის მოწმობის გაცემა, ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების რეგისტრაცია;

ხ) ლიზინგის რეგისტრაცია; ლიზინგის მოწმობის გაცემა;

ჯ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე უფლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია/აღრიცხვა, აღნიშნული რეგისტრაციის/აღრიცხვის გაუქმება;

ჰ) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება, შეჩერება ან შეწყვეტა (გაუქმება), შეჩერებული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა;

ჰ$^{1}$) სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის დამზადება/გაცემა;

ჰ$^{2}$) „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{3}$) ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{4}$) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{5}$) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{6}$) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{7}$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{8}$) სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{9}$) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ$^{10}$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ დამზადებული/გაცემული დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია, აპოსტილით დამოწმებას ან ლეგალიზაციას დაქვემდებარებული ქართულენოვანი დოკუმენტის უცხოურ ენაზე თარგმნა;

ჰ$^{11}$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ან რეგისტრაციის მოწმობის გაცემა (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტის სააგენტოს ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე;

ჰ$^{12}$) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული ელექტრონული, ვიდეო-, აუდიო- ან/და მატერიალური სასწავლო (შემსწავლელი) ან საგანმანათლებლო ლიტერატურის (ან სხვა სახის გამოცემის) შექმნა, გავრცელება (მათ შორის, სპეციალურ ვებგვერდზე განთავსებით) ან/და რეალიზაცია;

ჰ$^{13}$) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებ(ებ)ის განხორციელება;

ჰ$^{14}$) სააგენტოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის ფუნქციონირებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ჰ$^{15}$) სააგენტოს მიერ საკუთარი სახელისა და საქმიანობის რეკლამირება;

ჰ$^{16}$) სპორტის ცალკეული სახეობების განვითარებისათვის ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერის გაწევა;

ჰ$^{17}$) სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა;

ჰ$^{18}$) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პოპულარიზაციისა და ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზება, მათ შორის, სწავლებების/ტრენინგების უზრუნველყოფა;

ჰ$^{19}$) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №77 - ვებგვერდი, 30.08.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №52 - ვებგვერდი, 07.05.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №171 - ვებგვერდი,14.12.2020წ.*

**მუხლი 3. სააგენტოს ხელმძღვანელობა**
1. სააგენტოს ხელმძღვანელობს სააგენტოს დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).
2. დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ერთპიროვნულად უძღვება საქმეს და პერსონალურად აგებს პასუხს სააგენტოს საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

3. დირექტორი:

ა) მართავს სააგენტოს, მოქმედებს სააგენტოს სახელით და წარმოადგენს მას სხვა საჯარო დაწესებულებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, კომპეტენციის ფარგლებში დებს ხელშეკრულებებს სააგენტოს სახელით;

ა[1]) სააგენტოს სახელით განსაზღვრავს ამ დებულების მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებების პირობებსა და ამ ხელშეკრულებების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან სააგენტოს მიერ მისაღებ შემოსავლების ოდენობას;

ბ) უზრუნველყოფს სააგენტოზე დაკისრებული ამოცანების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს სააგენტოს სახსრებსა და ქონებას;

დ) ახორციელებს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და სააგენტოს მოსამსახურეების საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს, ასევე კადრების განკარგულებაში აჰყავს და კადრების განკარგულებიდან დაითხოვს სააგენტოს მოსამსახურეებს;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აფორმებს და წყვეტს შრომით ხელშეკრულებებს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებთან;

ზ) ანაწილებს მოვალეობებს სააგენტოს მოსამსახურეთა შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას სააგენტოს მოსამსახურეთათვის ზოგიერთი უფლებამოსილების მინიჭების ან/და დელეგირების შესახებ, აკონტროლებს მოსამსახურეთა მიერ მოვალეობების შესრულებას;

ზ[1]) სამინისტროს სისტემის მოსამსახურეებს ანიჭებს წარმომადგენლობის უფლებამოსილებას იმოქმედონ სააგენტოს სახელით სხვა საჯარო დაწესებულებებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მოსამსახურეების მიმართ განსაზღვრავს/გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას;

ი) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

ი[1]) კომპეტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

ი[2]) ქმნის მუდმივ ან დროებით კომისიებს, მათ შორის, რეორგანიზაციის ან სტრუქტურული ერთეულის ლიკვიდაციის უზრუნველყოფის მიზნით და განსაზღვრავს მათი შექმნის, საქმიანობისა და უფლებამოსილების განხორციელების წესს;

ი$^3$) ამტკიცებს ამ პუნქტის ი$^2$ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომისიის მიერ რეორგანიზაციისას გასათავისუფლებელ მოსამსახურეთა იდენტიფიცირების წესს;

კ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხელს აწერს ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს;

ლ) მინისტრთან ან კურატორი მინისტრის მოადგილესთან (არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებით ამტკიცებს სააგენტოს საშტატო განრიგსა და სახელფასო ფონდს;

მ) ამტკიცებს სააგენტოს ბიუჯეტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ნ) ამტკიცებს სააგენტოს შინაგანაწესს;

ო) ამტკიცებს სააგენტოს მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციებს;

პ) ამტკიცებს სააგენტოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის წესდებას (დებულებას);

ჟ) ნიშნავს და ათავისუფლებს სააგენტოს მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ის ხელმძღვანელს;

რ) ახორციელებს ადმინისტრაციულ ფუნქციებს;

ს) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

4. დირექტორს ყავს სამი მოადგილე, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს, კადრების განკარგულებაში აჰყავს და თანამდებობიდან ითხოვს/ათავისუფლებს დირექტორი.

5. დირექტორი ანაწილებს მოადგილეებს შორის უფლებამოსილებებსა და ფუნქციებს, ასევე განსაზღვრავს მათ საკურატორო სფეროებს.

6. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მისივე ბრძანებით განსაზღვრული ერთ-ერთი მოადგილე. მოადგილეების არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მისივე ბრძანებით განსაზღვრული თანამშრომელი.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 6 ნოემბრის ბრძანება №90- ვებგვერდი, 06.11.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №52 - ვებგვერდი, 07.05.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 29 ივლისის ბრძანება №113 - ვებგვერდი, 30.07.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №171 - ვებგვერდი,14.12.2020წ.*

**მუხლი 4. სააგენტოს სტრუქტურა**

1. სააგენტო წარმოადგენს ერთიან სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული ფუნქციების განხორციელებას ამ მუხლით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.
2. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:
ა) ადმინისტრაცია (დეპარტამენტი):
ა.ა) მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო:
ა.ა.ა) სატელეფონო კონსულტაციის სამსახური;
ა.ა.ბ) საინფორმაციო სამსახური;
ა.ბ) შიდა უსაფრთხოების და ოპერატიული სანომრე ნიშნების სამმართველო:
ა.ბ.ა) შიდა უსაფრთხოების სამსახური:
ა.ბ.ა.ა) I ჯგუფი;

ა.ბ.ა.ბ) II ჯგუფი;
ა.ბ.ბ) ოპერატიული სანომრე ნიშნების აღრიცხვის სამსახური;
ა.გ) საქმისწარმოების სამსახური;
ა.დ) მონაცემთა დამუშავების ჯგუფი;
ბ) რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტი:
ბ.ა) სარეგისტრაციო უზრუნველყოფის სამმართველო:
ბ.ა.ა) ექსპორტის, რეექსპორტისა და პირველადი რეგისტრაციის სამსახური;
ბ.ა.ბ) სარეგისტრაციო სამსახური;
ბ.ა.გ) საარქივო და სარეგისტრაციო მონაცემთა დამუშავების ჯგუფი;
ბ.ა.დ) იარაღის რეგისტრაციის, ნებართვებისა და ცნობების სამსახური;
ბ.ა.ე) სარეგისტრაციო ნიშნების გაცემის სამსახური;
ბ.ბ) საგამოცდო უზრუნველყოფის სამმართველო:
ბ.ბ.ა) თეორიული გამოცდის სამსახური;
ბ.ბ.ბ) პრაქტიკული გამოცდის სამსახური;
ბ.გ) საექსპერტო შემოწმების და დათვალიერების სამმართველო:
ბ.გ.ა) დათვალიერების განყოფილება;
ბ.გ.ბ) საექსპერტო შემოწმების განყოფილება;
გ) რეგიონალური დეპარტამენტი:
გ.ა) თბილისის სამმართველო:
გ.ა.ა) სარეგისტრაციო და საექსპერტო უზრუნველყოფის სამსახური:
გ.ა.ა.ა) სარეგისტრაციო განყოფილება;
გ.ა.ა.ბ) საექსპერტო შემოწმების და დათვალიერების განყოფილება;
გ.ა.ბ) საცნობარო სამსახური;
გ.ა.გ) მართვის მოწმობების განყოფილება;
გ.ა.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალების ნებართვების სამსახური;
გ.ბ) გორის სამსახური:
გ.ბ.ა) ხეითის ჯგუფი;
გ.გ) თელავის სამსახური;
გ.დ) ახალციხე-ახალქალაქის სამსახური;
გ.ე) ქუთაისის სამსახური;
გ.ვ) საჩხერე-ამბროლაურის სამსახური;
გ.ზ) ფოთის სამსახური;
გ.თ) ზუგდიდის სამსახური;
გ.ი) ბათუმის სამსახური;
გ.კ) ოზურგეთის სამსახური;
დ) ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტი:
დ.ა) საფინანსო სამსახური;
დ.ბ) შესყიდვების სამსახური;
დ.გ) მომარაგების და საწყობის სამსახური;
დ.დ) ქონების მართვის და ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილება;
დ.ე) ტრანსპორტის სამსახური;
დ.ვ) შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციის სამსახური;
ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი:
ე.ა) პროგრამული უზრუნველყოფისა და განვითარების სამმართველო;
ე.ბ) ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;
ე.გ) საგამოცდო ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური;
ვ) იურიდიული სამმართველო:
ვ.ა) სასამართლოებთან ურთიერთობისა და სამართალშემოქმედების სამსახური;
ვ.ბ) სამართლებრივი შეზღუდვების სამსახური;
ზ) ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო;
თ) ინსპექტირების სამმართველო;
ი) შიდა აუდიტის სამმართველო;
კ) ლეგალიზაციის და აპოსტილის სამსახური.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 15 ივლისის ბრძანება №72 - ვებგვერდი,19.07.2022წ.*

**მუხლი 5. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა**

1. სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.
2. სტრუქტურული ერთეულის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას და წყვეტს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) ანაწილებს საქმეებს, აძლევს დავალებებსა და მითითებებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს; უზრუნველყოფს სტრუქტრული ერთეულის მუშაობის ორგანიზებას;

გ) აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

დ) ახორციელებს სტრუქტურულ ერთეულში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას/ხელმოწერას;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში, წარადგენს პერიოდულ ანგარიშს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შესახებ;

ვ) წარადგენს წინადადებებს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა წახალისებისა და მათზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე;

ზ) შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ამზადებს წინადადებებს მოსამსახურეთა პროფესიული გადამზადების საჭიროების შესახებ;

თ) ასრულებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს, აგრეთვე დირექტორის/დირექტორის მოადგილის მიერ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს.

3. სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის უფროსს შეიძლება ჰყავდეს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დირექტორი.

**მუხლი 6. ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ფუნქციები**
ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ფუნქციებია:
ა) სააგენტოს მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და აღსრულება;
ბ) სააგენტოს ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების მართვა;
გ) სააგენტოს საქმიანობისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
დ) სამინისტროს შესაბამის დანაყოფთან კოორდინაციით საპროტოკოლო ღონისძიებების დაგეგმვა და უზრუნველყოფა;
ე) სააგენტოს ცნობადობის ამაღლებისათვის მარკეტინგული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;
ვ) ცხელი ხაზის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
ზ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება;
თ) სააგენტოს მიერ მიღებული განაცხადების საფუძველზე სამინისტროში არსებული ინფორმაციის დამუშავება;
ი) დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში დღე-ღამის განმავლობაში სააგენტოს საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
კ) დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრულ ტერიტორიაზე და სააგენტოს ადმინისტრაციულ შენობებში წესრიგის დაცვა;
ლ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ოპერატიული დანიშნულების სახელმწიფო სანომრე ნიშნების აღრიცხვა და გაცემა;
მ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქმისწარმოების ორგანიზება; შემოსული საიდუმლო (საიდუმლო დოკუმენტაციის საკანცელარიო ჟურნალში აღრიცხვა) და არასაიდუმლო დოკუმენტაციის მიღება და აღრიცხვა;

ნ) დოკუმენტების დადგენილი წესით დაარქივება;
ო) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 7. რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის ფუნქციები**
რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) იარაღის რეგისტრაცია, იარაღის ხელახალი რეგისტრაცია და იარაღის ჩამოწერა;
ბ) იარაღის ძირითადი ელემენტებისა და იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტების რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია და ჩამოწერა;
გ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა, იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა, იარაღის ბალისტიკური შემოწმება და იარაღის რეესტრის წარმოება;
დ) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა;
ე) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
ვ) იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა იმ პირზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება;
ზ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
თ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირებისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
ი) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „$გ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია;
კ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;
ლ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;
მ) ფიზიკურ პირზე სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის ტარების უფლებით რეგისტრაცია;
ნ) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე საქართველოში იარაღის შეძენის ან/და საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;
ო) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;
პ) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;
ჟ) ტირის, სასროლეთისა და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის გაცემა;
რ) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემა;
ს) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა;
ტ) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობისა და იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის გაცემა;
უ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სამოქალაქო თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის (აირის) იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის მიერ იარაღის ბრუნვის წესების ცოდნის შემოწმების მიზნით გამოცდის ჩატარება;
ფ) დეკლარანტის თხოვნით, სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ან/და სასაქონლო ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული

ინფორმაციის (დოკუმენტების) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – შემოსავლების სამსახურისათვის (შემდგომ – შემოსავლების სამსახური) მიწოდება;

ქ) სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა, რეგისტრაციის მოწმობის, რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის/ნიშნების), ტექნიკური ტალონის, სხვა სახის სარეგისტრაციო ნიშნის (ტრანზიტული ნომერი, შიდა ტრანზიტი, „TEST“ ნომერი, აღრიცხვიდან მოხსნის ბარათი, დროებითი მოწმობა და ა. შ.) დამზადება/გაცემა;

ღ) სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება;

ყ) სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმება, საექსპერტო შემოწმების შედეგად შესაბამისი აქტის შედგენა;

შ) სატრანსპორტო საშუალების, მისი ნომრიანი აგრეგატების ან სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების დათვალიერება, დათვალიერების აქტის შედგენა;

ჩ) საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვა, საიდენტიფიკაციო ნომრის ამსახველი ფირნიშის დამზადება/გაცემა, სააღრიცხვო ნომრის მინიჭება;

ც) უფლების გადაცემის ბარათის გაცემა;

ძ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სატრანსპორტო საშუალების ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონის) ან/და დაუტვირთავი მასის განსაზღვრა;

წ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას იარაღის, სატრანსპორტო საშუალებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრა;

ჭ) სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია, გირავნობის მოწმობის გაცემა, ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების რეგისტრაცია;

ხ) ლიზინგის რეგისტრაცია; ლიზინგის მოწმობის გაცემა;

ჯ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე უფლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია/აღრიცხვა, აღნიშნული რეგისტრაციის/აღრიცხვის გაუქმება;

ჰ) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება, შეჩერება ან შეწყვეტა (გაუქმება), შეჩერებული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა;

ჰ[1]) სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის დამზადება/გაცემა;

ჰ[2]) „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;;

ჰ[3]) ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[4]) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[5]) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[6]) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[7]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[8]) სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[9]) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;

ჰ[10]) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ან რეგისტრაციის მოწმობის გაცემა (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტის სააგენტოს ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე;

ჰ[11]) დამუშავებული სარეგისტრაციო მონაცემების შინაარსობრივ დახარისხებას და ასახული ინფორმაციის დაარქივება;

ჰ[12]) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.*

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 აგვისტოს ბრძანება №77 - ვებგვერდი, 30.08.2019წ.
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.

**მუხლი 8. რეგიონალური დეპარტამენტის ფუნქციები**
რეგიონალური დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) იარაღის რეგისტრაცია, იარაღის ხელახალი რეგისტრაცია და იარაღის ჩამოწერა;
ბ) იარაღის ძირითადი ელემენტებისა და იარაღის დამატებითი ძირითადი ელემენტების რეგისტრაცია, ხელახალი რეგისტრაცია და ჩამოწერა;
გ) იარაღის სარეგისტრაციო მოწმობის გაცემა, იარაღის დროებითი მოწმობის გაცემა, იარაღის ბალისტიკური შემოწმება და იარაღის რეესტრის წარმოება;
დ) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე ხრახნილლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის უფლებით) ნებართვის გაცემა;
ე) ფიზიკური პირის მიერ თავდაცვის გაზის (აირის) იარაღის, სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის, სპორტული გრძელლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის ან სპორტული მოკლე გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
ვ) იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა იმ პირზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ უნარჩუნდება იარაღის ტარების უფლება;
ზ) სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებულ იარაღზე, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებისათვის იარაღის შეძენის (შენახვისა და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
თ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოსარგებლე პირებისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსით გადაცემული იარაღის შეძენის (ტარების უფლებით) ნებართვის გაცემა;
ი) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „$გ^1$“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირის კუთვნილი სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია;
კ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირების კუთვნილი სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;
ლ) „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სანადირო და სპორტული პნევმატური იარაღების რეგისტრაცია;
მ) ფიზიკურ პირზე სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღის ტარების უფლებით რეგისტრაცია;
ნ) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე საქართველოში იარაღის შეძენის ან/და საქართველოში შეძენილი სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;
ო) უცხო ქვეყნის მოქალაქეზე სანადირო ან სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის ნებართვის გაცემა;
პ) შესაბამისი პროფილის სპორტული დაწესებულების მიერ საზღვარგარეთ სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის სპორტული ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის დროებით საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვის გაცემა;
ჟ) ტირის, სასროლეთისა და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვის გაცემა;
რ) საქართველოს მოქალაქის მიერ სამოქალაქო ცეცხლსასროლი ან/და გაზის (აირის) იარაღის, მისი/მათი ძირითადი ელემენტების ან/და საბრძოლო მასალის საქართველოში შემოტანის ან საქართველოდან გატანის (გარდა ტრანზიტისა და რეექსპორტისა) ნებართვის გაცემა;
ს) იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის ნებართვის გაცემა;
ტ) იარაღის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობისა და იარაღის საკომისიო წესით ჩაბარების ცნობის გაცემა;
უ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სამოქალაქო თავდაცვის მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის (აირის) იარაღის, სპორტული ცეცხლსასროლი იარაღის ან სანადირო ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის (შენახვის ან/და ტარების უფლებით) ნებართვის გაცემისათვის ნებართვის მაძიებლის მიერ იარაღის ბრუნვის წესების ცოდნის შემოწმების მიზნით გამოცდის ჩატარება;
ფ) დეკლარანტის თხოვნით, სასაქონლო ოპერაციისათვის განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებაზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ან/და სასაქონლო ოპერაციის გამოყენებასთან დაკავშირებული ინფორმაციის (დოკუმენტების) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – შემოსავლების სამსახურისათვის (შემდგომ

– შემოსავლების სამსახური) მიწოდება;
ქ) სატრანსპორტო საშუალებათა, მათი ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამხმარე ტექნიკური საშუალებების რეგისტრაცია და აღრიცხვიდან მოხსნა, რეგისტრაციის მოწმობის, რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის/ნიშნების), ტექნიკური ტალონის, სხვა სახის სარეგისტრაციო ნიშნის (ტრანზიტული ნომერი, შიდა ტრანზიტი, „TEST“ ნომერი, აღრიცხვიდან მოხსნის ბარათი, დროებითი მოწმობა და ა. შ.) დამზადება/გაცემა;
ღ) სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე საკუთრების უფლების გადაცემის გარიგებაზე მხარეების ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება;
ყ) სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შემოწმება, საექსპერტო შემოწმების შედეგად შესაბამისი აქტის შედგენა;
შ) სატრანსპორტო საშუალების, მისი ნომრიანი აგრეგატების ან სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების დათვალიერება, დათვალიერების აქტის შედგენა;
ჩ) საიდენტიფიკაციო ნომრის დადამღვა, საიდენტიფიკაციო ნომრის ამსახველი ფირნიშის დამზადება/გაცემა, სააღრიცხვო ნომრის მინიჭება;
ც) უფლების გადაცემის ბარათის გაცემა;
ძ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოების არსებობისას სატრანსპორტო საშუალების ნებადართული მაქსიმალური მასის (დასაშვები წონის) ან/და დაუტვირთავი მასის განსაზღვრა;
წ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას იარაღის, სატრანსპორტო საშუალებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკური საშუალების საბაზრო ღირებულებების განსაზღვრა;
ჭ) სატრანსპორტო საშუალებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე გირავნობის უფლების რეგისტრაცია, გირავნობის მოწმობის გაცემა, ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების რეგისტრაცია;
ხ) ლიზინგის რეგისტრაცია; ლიზინგის მოწმობის გაცემა;
ჯ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალებაზე, მის ნომრიან აგრეგატსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანის დამხმარე ტექნიკურ საშუალებაზე უფლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია/აღრიცხვა, აღნიშნული რეგისტრაციის/აღრიცხვის გაუქმება;
ჰ) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება, შეჩერება ან შეწყვეტა (გაუქმება), შეჩერებული ან შეწყვეტილი (გაუქმებული) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა;
ჰ$^{1}$) სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის, ტრამვაის მართვის მოწმობისა და საერთაშორისო მართვის მოწმობის დამზადება/გაცემა;
ჰ$^{2}$) „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{3}$) ნასამართლობის შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{4}$) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{5}$) საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთის შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{6}$) პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვის გამო ძებნის გამოცხადების შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{7}$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ბაზაში დაცული ინფორმაციის შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{8}$) სატრანსპორტო საშუალების სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{9}$) პირის მსჯავრდების შესახებ ცნობის გაცემა;
ჰ$^{10}$) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის ან რეგისტრაციის მოწმობის გაცემა (შეცვლა ან დაკარგულის აღდგენა) სხვა სახელმწიფოში მყოფი საქართველოს მოქალაქის მიერ შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტის სააგენტოს ვებგვერდზე წარდგენის (ატვირთვის) საფუძველზე;
ჰ$^{11}$) დამუშავებული სარეგისტრაციო მონაცემების შინაარსობრივ დახარისხება და საარქივო დოკუმენტაციის მომზადება;
ჰ$^{12}$) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 9.** *(ამოღებულია)*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 10. ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის ფუნქციები**

ეკონომიკური და ლოგისტიკის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) სააგენტოს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შედგენა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში სამინისტროსთვის წარდგენის ორგანიზება;

ბ) სააგენტოს შესაბამისი დანაყოფების მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტის შედგენა, სამინისტროსთან შეთანხმების ორგანიზება და სააგენტოს დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

გ) წლიური ბიუჯეტის დამტკიცებამდე გასული, მიმდინარე და დასაგეგმი წლის ბიუჯეტების თაობაზე შესაბამისი ანალიზის მომზადება და სააგენტოს ხელმძღვანელისათვის წარდგენა;

დ) დამტკიცებული ბიუჯეტის კვარტალური განწესის მომზადება და სამინისტროში წარდგენის ორგანიზება;

ე) საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჭიროებიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში სააგენტოს დამტკიცებულ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების მომზადება და სამინისტროსთან შეთანხმების ორგანიზება;

ვ) სააგენტოს ბიუჯეტის ანგარიშების (ყოველთვიური, კვარტალური) მომზადება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში სამინისტროსთვის წარდგენის ორგანიზება;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს საშტატო განრიგით გათვალისწინებული თანამდებობებისთვის შესაბამისი სარგოების განსაზღვრაში მონაწილეობის მიღება;

თ) სააგენტოს საშტატო-საორგანიზაციო ცვლილებების პროექტების განხილვა და მათი ფინანსური გაანგარიშებების მომზადება;

ი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება, ანგარიშგება;

კ) სააგენტოს საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფა; სააგენტოს და მისი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური საქმიანობის კოორდინაცია და მართვა; საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სწორად ორგანიზება;

ლ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს პირადი შემადგენლობისათვის სოციალური ხარჯების დარიცხვა;

მ) ბუღალტრული დოკუმენტების, აღრიცხვის, რეგისტრირების, ხარჯთა ნუსხის და სხვა დოკუმენტაციის შენახვა და დადგენილი წესით მათი არქივში ჩაბარება;

ნ) სააგენტოს სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმისა და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშების მომზადება, მათი სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარდგენა;

ო) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სააგენტოს სახელით შესყიდვების პროცედურების განხორციელება;

პ) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა პროცედურების განხორციელება;

ჟ) სააგენტოს მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შენახვა და დადგენილი წესით მათი არქივში ჩაბარება;

რ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;

ს) სააგენტოსათვის მოწოდებული საქონლის ინსპექტირება და საგარანტიო მომსახურების შესრულების კონტროლი;

ტ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს მატერიალური უზრუნველყოფა, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით სახსრების ხარჯვის კონტროლის განხორციელება;

უ) სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისათვის საჭირო სახარჯი სპეციალური საშუალებების (ეკიპირება, საწვავი, საჭირო ინვენტარი, ტექნიკა, აპარატურა, საკანცელარიო და სხვა სამეურნეო საქონელი, მკაცრი აღრიცხვისა და სხვა სახის ბლანკები, სანომრე ნიშნები, ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობები, მართვის მოწმობების ბლანკები და ა.შ.) მიღება, შენახვა, აღრიცხვა და დადგენილი წესით დანაყოფებისათვის გადაცემა;

ფ) საწყობში შემოსული და გასული საქონლის აღრიცხვა დასახელებისა და რაოდენობის მიხედვით;

ქ) იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან სააგენტოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული ნებისმიერი სახეობის მატერიალური ფასეულობის აღრიცხვა;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩამოწერილი იარაღის ჩაბარება, აგრეთვე შეიარაღების, ტექნიკის, ინვენტარის, ექსპლუატაციაში არსებული სხვა მატერიალური ფასეულობების დადგენილი წესით აღრიცხვა;

ყ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოზე განპირობებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღისა და საბრძოლო მასალების აღრიცხვა, შენახვა და სააგენტოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით თანამშრომლებზე გაცემა;

შ) სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების მართვის, განკარგვისა და სარგებლობაში გადაცემის საკითხების ორგანიზაციულ უზრუნველყოფა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ჩ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სააგენტოს ბალანსზე არსებული ან/და გადმოცემული ქონების სარგებლობაში გადაცემისა და განკარგვისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

ც) ქონების გადაცემისას სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ და სხვა შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან დადგენილი წესით საკითხის შეთანხმებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

ძ) შენობა-ნაგებობების ასაშენებლად შესაბამისი ნებართვების მიღება და დოკუმენტაციის მომზადება, სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებთან შეთანხმება; ასევე, დასრულებული შენობა-ნაგებობების დადგენილ ვადაში ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფა;

წ) უძრავი ქონების რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამის დაწესებულებაში წარდგენა;

ჭ) სააგენტოს შესაბამისი კომისიისათვის ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის ჩატარების ორგანიზებაში ხელშეწყობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადით;

ხ) სააგენტოს გამგებლობაში არსებული გამოუსადეგარი (ამორტიზებული) შენობა-ნაგებობებისა და სხვა გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი, გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერა და განკარგვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება შესაბამისი კომისიების მუშაობის უზრუნველსაყოფად;

ჯ) სააგენტოს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული კომუნალური და სხვა სახის ხარჯების აღრიცხვა;

ჰ) საჭიროების შემთხვევაში ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობა;

ჰ[1]) სააგენტოს ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების სწორი ექსპლუატაციისა და ტექნიკის

უსაფრთხოების დაცვის კონტროლი;

ჰ$^{2}$) სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების მიღება და ექსპლუატაციის ორგანიზება;

ჰ$^{3}$) სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვაზე აყვანა და აღრიცხვიდან მოხსნა;

ჰ$^{4}$) სააგენტოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ გამართულობასა და მატერიალურ პასუხისმგებლობაზე კონტროლი, პერიოდული დათვალიერება დროული შეკეთების მიზნით;

ჰ$^{5}$) სატრანსპორტო საშუალებების საჭირო სათადარიგო ნაწილებითა და საწვავ-საცხები მასალით მომარაგებას დადგენილი წესით, სარემონტო სამუშაოების ორგანიზება, ჩატარებული სარემონტო სამუშაოების აღრიცხვა-კონტროლი;

ჰ$^{6}$) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

ჰ$^{7}$) (ამოღებულია - 15.07.2020, №96).

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 11.** ***(ამოღებულია)***
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 12. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ფუნქციები**
ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) სააგენტოს საქმიანობის შესაბამისად, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, შესაბამისი პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრა;

ბ) სააგენტოს სარგებლობაში არსებული კომპიუტერული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფა, შესაბამისი პროგრამების შექმნა, განვითარება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა;

გ) სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და იმპლემენტაცია;

დ) სააგენტოს არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება, მუდმივი მონიტორინგი და სტრატეგიული განვითარება;

ე) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობის, სერვისის უწყვეტობისა და დაცულობის უზრუნველყოფა;

ვ) სააგენტოს კომპიუტერული ტექნიკის, კომპიუტერული სისტემების და ქსელის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირება, დამუშავება და გადაწყვეტა, მუდმივი მონიტორინგი, ხარვეზების გამოვლენა და მათზე ანგარიშგება;

ზ) სააგენტოს არსებულ სისტემებში მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული ხარვეზების იდენტიფიცირება, მათი აღმოფხვრა და მუდმივი მონიტორინგი;

თ) სააგენტოს საგამოცდო სისტემების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, ასევე ხარვეზების იდენტიფიცირება და მათზე შესაბამისი რეაგირება;

ი) სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის, მანქანის რეგისტრაციის მოწმობის და იარაღის რეგისტრაციის მოწმობის საბეჭდი მოწყობილობის ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა;

კ) სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშანი) საბეჭდი მოწყობილობის პროგრამული მხარდაჭერა;

ლ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მ) (ამოღებულია - 15.07.2020, №96);

ნ) (ამოღებულია - 15.07.2020, №96).

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 18 თებერვლის ბრძანება №16 - ვებგვერდი, 19.02.2019წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 12$^{1}$. იურიდიული სამმართველოს ფუნქციები**
იურიდიული სამმართველოს ფუნქციებია:
ა) კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება, სამართლებრივი ექსპერტიზა და შესაბამისი დასკვნების მომზადება; მიღებული სამართლებრივი აქტების შესახებ სტრუქტურული ერთეულების ინფორმირება; საჭიროებისამებრ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით სააგენტოს მოსამსახურეებისთვის ტრენინგების ჩატარება ან/და კონსულტაციების გაწევა; სხვა უწყებების მიერ შემუშავებული და სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა, შესაბამისი დასკვნების მომზადება;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს მიერ მომზადებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა;

გ) სააგენტოს სახელით დასადები ხელშეკრულებების, მემორანდუმების, შეთანხმებების პროექტების შემუშავება ან/და მათი სამართლებრივი ექსპერტიზა;

დ) განცხადებებსა და ადმინისტრაციულ საჩივრებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფა; სააგენტოში შემოსული ადმინისტრაციული საჩივრების სამართლებრივი ანალიზი და მის საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან აგრეთვე, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, სააგენტოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; სააგენტოში შემოსული და სააგენტოს მონაწილეობით წარმოებული სასამართლო დავების სამართლებრივი ანალიზი და მის საფუძველზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) მოთხოვნის შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოში დაცული საჯარო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის, საინფორმაციო მომსახურების გაუმჯობესების, ინფორმაციის მიწოდების საშუალებების დახვეწის და განვითარების მიზნით ნორმატიული თუ ტექნიკური ხასიათის წინადადებების შემუშავება; მოქალაქეებისა და სააგენტოს დანაყოფებისათვის საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევა;

ზ) პერსონალურ მონაცემთა გაცემასთან დაკავშირებული კორესპონდენციის განხილვა/მომზადება; სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულებისათვის პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული კონსულტაციების მიცემა და საჭიროების შემთხვევაში ტრენინგების ჩატარება; სააგენტოს მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება; პერსონალურ მონაცემთა დაცვზე ზედამხედველი ორგანოსთან სააგენტოს წარმომადგენლობის უზრუნველყოფა;

თ) სააგენტოს საქმიანობასთან დაკვშირებული საკითხებზე სტრუქტურული ერთეულებისათვის/თანამშრომლებისათვის, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის, ასევე სხვა საჯარო დაწესებულებებისათვის იურიდიული კონსულტაციის გაწევა; კონსულტაციების გაწევისას წამოჭრილი საკითხების სამართლებრივი ანალიზი, სამართლებრივი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირისაგან, აგრეთვე კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირისაგან ელექტრონული ან/და მატერიალური სახით მიღებული შეტყობინების საფუძველზე უფლებრივი შეზღუდვის (ყადაღის, განკარგვის უფლების შეზღუდვის ან სხვა აკრძალვის) შესახებ ინფორმაციის აღიცხვა/რეგისტრაცია და სისტემატიზაცია; სააგენტოში აღრიცხული/რეგისტრირებული უფლებრივი შეზღუდვების თაობაზე უფლებამოსილი პირების ინფორმირება; უფლებრივ შეზღუდვასთან დაკავშირებული დაინტერესებული პირების განცხადებების განხილვას და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირება;

კ) სააგენტოში სამართლებრივი შეზღუდვების შესახებ შემოსული ინფორმაციის სისტემატიზაცია და რეგისტრაცია;

ლ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 12$^{2}$. ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ფუნქციები**
ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს ფუნქციებია:
ა) ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის ორგანიზება და მართვა;

ბ) სააგენტოში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსების დაგეგმვა და ორგანიზება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სააგენტოში მისაღები/დასანიშნი კანდიდატების შერჩევა და კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი შემოწმება;

დ) სააგენტოს მოსამსახურეთა მომზადება/გადამზადების უზრუნველყოფა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს შრომის შინაგანაწესის პროექტზე წინადადებების შემუშავება და სააგენტოს შესაბამის სტრუქტურული ერთეულისთვის წარდგენა;

ზ) სამუშაო აღწერილობების/თანამდებობრივი ინსტრუქციების შემუშავება/განახლება;

თ) საკადრო საკითხებთან დაკავშირებული ბრძანებების (მოსამსახურეთა მიღების, თანამდებობრივი გადაადგილების, სპეციალურ წოდებათა მინიჭების, წახალისების, აგრეთვე დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებისა და გათავისუფლების შესახებ), ასევე შრომითი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება;

ი) სააგენტოს მოსამსახურეთა წელთა ნამსახურობისა და შრომის სტაჟის გამოთვლა, პირადი საქმეების აღრიცხვა და დამუშავება, ასევე საარქივო პირადი საქმეების აღრიცხვა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა;

კ) სააგენტოდან დათხოვნილ მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში სააგენტოს მოსამსახურეთა სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვების მასალების მომზადება;

მ) პირადობის (სამსახურებრივი) მოწმობებისა და დროებითი საშვების დამზადება/გაცემა, აღრიცხვა, ჩამოწერა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის წარმოება;

ნ) სააგენტოს მოსამსახურეთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფის ორგანიზება;

ო) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 13. ინსპექტირების სამმართველოს ფუნქციები**
1. ინსპექტირების სამმართველოს ფუნქციებია:
ა) სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის პერიოდული (გეგმური და არაგეგმური) შემოწმება;

ბ) სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების მიერ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების კონტროლი;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში გამოვლენილ მოსამსახურეთა მიერ დისციპლინური ნორმების დარღვევის ფაქტების შემოწმება-განხილვა, სამართლებრივი შეფასება, შესაბამისი დასკვნების მომზადება და სააგენტოს დირექტორისათვის წარდგენა;

დ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციები არ მოიცავს შიდა აუდიტის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ ფუნქციებს.

**მუხლი 14. შიდა აუდიტის სამმართველოს ფუნქციები**
1. შიდა აუდიტის სამმართველოს ფუნქციებია:
ა) სააგენტოს წინაშე არსებული რისკების მართვის ხარისხის შეფასება;

ბ) სააგენტოს საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ფინანსური და სხვა ინფორმაციის სანდოობის, სიზუსტისა და სისრულის შეფასება;

დ) სააგენტოს აქტივების, სხვა რესურსებისა და ინფორმაციის ადეკვატურად დაცულობის შეფასება;

ე) სააგენტოს ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება საქართველოს კანონმდებლობასა და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (ფინანსური აუდიტი);

ვ) ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება (სისტემური აუდიტი);

ზ) სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, სააგენტოს ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების ობიექტური და საიმედო შეფასება მათი ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპებთან შესაბამისობის დადგენისა და გაუმჯობესების პოტენციალის გამოვლენის მიზნით (ეფექტიანობის აუდიტი);

თ) სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების, ოპერაციების, პროგრამების, სააგენტოს ორგანიზაციული მოწყობისა და სისტემების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმება და შეფასება (შესაბამისობის აუდიტი);

ი) აუდიტორული შემოწმების შედეგების ანგარიშში ასახვა და ამ ანგარიშის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა;

კ) შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის რეალიზაციის მონიტორინგი;

ლ) შიდა აუდიტორული საქმიანობის შესახებ სააგენტოს დირექტორის პერიოდული ინფორმირება;

მ) სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტთან საქმიანობის კოორდინაცია, საქართველოს

კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ნ) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით განსაზღვრული სხვა უფლება-მოვალეობების, აგრეთვე, სხვა საქმიანობის განხორციელება, რომელიც გამომდინარეობს სააგენტოს ინტერესებიდან და არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებსა და შიდა აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპებს.

2. შიდა აუდიტის სამმართველოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებები აგრეთვე ვრცელდება სააგენტოს მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ(ებ)ზე.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 30 იანვრის ბრძანება №6 - ვებგვერდი, 31.01.2019წ.*

**მუხლი 14[1]. ლეგალიზაციის და აპოსტილის სამსახურის ფუნქციები**
ლეგალიზაციის და აპოსტილის სამსახურის ფუნქციებია:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სააგენტოს მიერ მომზადებული/გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზაცია;

ბ) ლეგალიზაციას ან აპოსტილით დამოწმებას დაქვემდებარებული ქართულენოვანი დოკუმენტის უცხოურ ენაზე თარგმნა;

გ) ამ დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 15.** *(ამოღებულია)*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 16.** *(ამოღებულია)*
*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის ბრძანება №96 - ვებგვერდი,15.07.2020წ.*

**მუხლი 17. სააგენტოს ქონება**
1. სააგენტოს გააჩნია ქონება, რომელიც მისთვის გადაცემულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ან/და შეძენილია სააგენტოს მიერ.
2. სააგენტოს ქონებას შეადგენს ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობა და ფინანსური რესურსი.

**მუხლი 18. სააგენტოს დაფინანსება**
1. სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:
ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული სახსრები;

გ) სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლები;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები;

ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სახსრები და შემოსავლები ხმარდება როგორც სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების (საქმიანობის) განხორციელებას, აგრეთვე სამინისტროს სისტემის განვითარებას. სააგენტოს სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

3. სააგენტო უფლებამოსილია, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე, განახორციელოს:

ა) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „რ$^{1}$“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა;

ბ) სატრანსპორტო საშუალებებით მოვაჭრე (ავტობაზრობა, ავტოცენტრი ან სხვა), მოგირავნე ან ლიზინგის გამცემი ორგანიზაციისათვის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „დ“-„ზ“, „ზ$^{2}$“-„თ“, „პ“, „ფ$^{2}$“, „ფ$^{3}$“, „ღ“, „შ“, „შ$^{1}$“, „ც“, „წ“ ან/და „ჰ$^{1}$“ „ჰ$^{2}$“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებების ხელშემკვრელი მხარის (ორგანიზაციის) ტერიტორიაზე გაწევა (ადგილზე მომსახურება) და ამ მიზნით აღნიშნულ ტერიტორიაზე სააგენტოს უფლებამოსილი თანამშრომელის/თანამშრომლების განთავსება.

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 6 მაისის ბრძანება №52 - ვებგვერდი, 07.05.2020წ.*

*საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2020 წლის 11 დეკემბრის ბრძანება №171 - ვებგვერდი,14.12.2020წ.*

**მუხლი 19. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი**

1. სააგენტოს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტოს საქმიანობის კანონიერებაზე, მიზანშეწონილობასა და ეფექტიანობაზე.
2. სამინისტრო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს სააგენტოს უკანონო აქტის ან მოქმედების შესრულება.

3. სააგენტომ სამინისტროს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) ბიუჯეტის, საშტატო განრიგის და სახელფასო ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე სააგენტოს მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) სხვა გადაწყვეტილებები სააგენტოს ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედების განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

5. სააგენტო აწარმოებს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგებას, ადგენს ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციას და წარუდგენს სამინისტროს.

**მუხლი 20. საბუღალტრო ანგარიშგება**

სააგენტო ვალდებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები და წარუდგინოს სამინისტროს.

**მუხლი 21. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

სააგენტოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით

დადგენილი წესით.

**მუხლი 22. დასკვნითი დებულებები**

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.